



უსტაღვის ციხესიმაგრე

მართვის გეგმა

ადგილმდებარეობა

N 41°32' 00' '

E 45°00'00' '

- აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლის რეგიონში, მდინარე მტკვრის ქვემო დინებაზე, დღევანდელი ქ.რუსთავის ტერიტორიაზე. თბილისის სამ-აღმ-ით 27 კმ-ზე.
- ციხე-ქალაქი უძველესი დროიდან წარმოადგენს საქართველოს სამხრეთ ფორპოსტს, მასზე გადიოდა უძველესი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზები.


უძველესი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზები

- მდ. მტკვრის აუოლებით - ცნობილი **აბრეშუმის გზა**: **ბარდავი - რუსთავი - თბილისი - მცხეთა - ჟინვალი - ჩრ. კავკასია**, რომელიც საქართველოს აღმოსავლელ ქვეყნებთან აკავშირებდა.
- მცირე აზია - სამცხე-ჯავახეთი - მარნეული - რუსთავი - ჩათმა - ჰერეთი - დერბენდი - ჩრ. კავკასია. (დღემდე მოქმედი - მაგისტრალი ს-4 („**თბილისი - ნითელი ხიდი**“)).



რუსთავის ციხე-ქალაქის კომპლექსის
მდებარეობა კარგ შესაძლებლობას
უზრუნველყოფს, რათა ის გახდეს მნიშვნელოვანი
ადგილი ტურისტებისთვის





ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

□ ბუნება:

□ დაშაშის კანიონი

□ ხრამის კანიონი

□ კლდეკარის ნაკრძალი

□ გარდაბნის აღკვეთილი

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები:

დმანისი

მარნეული

დავით გარეჯი

XIX ს. გერმანული დასახლებები

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები






რუსთავის ციხესიმაგრის ნაშთები

- ზღუდე I
 - ზღუდე II
 - ზღუდე III
 - გვირაბი
- ჭა ამოშენებულია XI-XII სს ზღუდის ჩრდილო ზღუდეში
 - სასახლე
 - აბანო
 - აგურის ჭა
 - სასახლე
 - სასახლის აბანო
 - სასახლის თალიანი ჭა
 - კოლექტორი
- ქვიშა-ქვის ფილებით მოპირკეთებული არხი
 - რკინის ხიდი არხზე
- კულტურისა და დასვენების პარკი



ზღუდე I

- აშენდა IV-V საუკუნეებში, შემორჩენილია ხუთი კოშკი, მთავარი კარიბჭე და აღმ. სამხრთ-აღმ, სამხ.-დასვ. და დასვ. მონაკვეთები. ნაწილობრივი რესტავრაცია ჩაუტარდა 1987 წელს.
- 

რეკომენდაცია

□ უნდა მომზადდეს ძეგლის კონსერვაციის პროექტი. ზღუდის კურტინა და კონტრფორსები უნდა ამალდეს არანაკლებ 0. 5- 1.5 მ სიმაღლეზე (მის დას. მიშენებული აბანოს იატაკიდან 0.2-0.3მ სიმაღლემდე), კედლის თავი უნდა დაფაროს საკონსერვაციო ფენით (კონსერვაცია კირის გამოყენებით უნდა შესრულდეს). ცალკე უნდა მომზადდეს ქვედა კარიბჭის კონსერვაცია-რესტავრაციის პროექტი. უნდა მოხდეს კარიბჭისა და ბურჯების კედლების აწევა არანაკლებ 2.5 მ სიმაღლეზე, აღდგეს კარიბჭესა და არხს შორის გადებული ხის ხიდი, ციხის შიდა II და III ზღუდეთა შორის ზედა კარიბჭისკენ ასასვლელ საურმე გზაზე (ე.წ. „ტომარაში“) მოსახვედრად. სასურველია მოხდეს ციხის ამ მეტად მნიშვნელოვანი კვანძის სრული აღდგენა. აქაც საკონსერვაციო სამუშაო კირ- ხსნარის გამოყენებით უნდა შესრულდეს. ზედაპირი უნდა დაიფაროს საკონსერვაციო ფენით. ზღუდის ჩრდ. მონაკვეთი გასაწმენდია მცენარეული საფარისა და მიწისგან. აქ უნდა გაგრძელდეს არქეოლოგიური შესწავლა, ზღუდის სრული გამოვლენის მიზნით.

ზღუდე II

- მიშენებული I ზღუდეზე, იმეორებს მის პერიმეტრს, შედგება 17 ფლანკირებული ნახევარწრიული კოშკისა და 2-2,5 სისქის მძლავრი ზღუდე-გალავანისგან; აგებულია VIII-IX სს-ში. კონსერვაცია ჩაუტარდა 1987 ქელს.

რეკომენდაცია

- ❑ მოსამზადებელია სარესტავრაციო პროექტი. გადაუდებლად უნდა გამაგრდეს ბურჯის კედლები; შესამუშავებელია ალიზის კედლების გამაგრების მეთოდოლოგია. შესაბამისი მეთოდოლოგიის მიგნების შემთხვევაში, სასურველია მოპირკეთდეს ბურჯი გამომწვარი აგურით ან შეილესოს ჰიდრაფიკული ხსანარით.
- ❑ დასასრულებელია არქეოლოგიური გათხრები; შემდგომ საჭიროა მისი კონსერვაცია. ზღუდის კედლები უნდა დავიცვათ არსებული სიმალლით, მათ ზედაპირზე ერთი საკონსერვაციო ფენით; შიდა პირი უნდა შეილესოს კირნარევი გაჯის ფენით. I ზღუდის შემორჩენილი კედლები II ზღუდესთან ერთად უნდა გადაიხუროს მინის ან ორგანის გამჭვირვალე საფარით.

ზღუდე III


- ციტადელის III ზღუდე, XI –XII სს.-ში აშენდა, კარგად აქვს შემორჩენილი ჩრდ. ზღუდემ - გალავნი, რომელიც კულტურის პარკს გადაჰყურებს და სამ-აღმ. მონაკვეთი მთავრი კარიბჭითა და საიდუმლო გვირაბი, კონსერვაცია ნაწილობრივი ჩატარდა 1987 წელს.


რეკომენდაცია

- სრულყოფილი კონსტრუქციული პროექტის მომზადება კონსერვაციის პროექტის ფარგლებში. კედლები ძირითადად არსებულ დონეზე უნდა შენარჩუნდეს, თუმცა ზოგ მონაკვეთზე საჭირო გახდება კედლებისა და ბურჯების ამალღება. მათი ზედაპირი უნდა დაიფაროს საკონსერვაციო ფენით.
- ჩასატარებელია საკონსერვაციო სამუშაოები, მიწისა და რკინა-ბეტონის შენობის საძირკველისგან გასათავისუფლებელია სამხ.დასავ. ზღუდის აღმოსავლეთ მონაკვეთი, რის შემდგომაც შესაძლოა გამოჩნდეს კურტინის ან ბურჯის ნაკლული ფრაგმენტები, რაც მისი ნაკლული მონაკვეთის აღდგენა -რეკონსტრუქციის საშვალებას მოგვცემს. უნდა მოხდეს ზღუდისა და ბურჯებზე საკონსერვაციო ფენის დადება და კედლების ზედაპირის საკონსერვაციო ფენით მოლესვა, საპერანგე ნყოფის აღდგენა. არქეოლოგიური შესწავლა გასაგრძელებელია.





გვირაბი

- გამორჩეული და სრულად დაცული საინჟინრო ნაგებობა, რომელიც XI-XII სს ზღუდის ბურჯშია გაჭრილი, მდინარე მტკვრის მიმართულებით, კონსერვაცია ჩატარდა 1987 წელს.
- 





რეკომენდაცია

- მოსამზადებელია კონსერვაციის პროექტი, გასამაგრებელია კოლექტორის ქვიშა-ქვის კედლები, აღსადგენია გადახურვის ნაკლული ფილები, ნაგებობა ჰიდრავლური ხსნარით უნდა მოილესოს,.
- 





ჭა ამოშენებულია XI-XII სს ზღუდის ჩრდილო ზღუდეში

- კონსერვაცია არ ჩატარებულა; ამოვსებულია სამეურნეო ნაგავითა და ქვებით.
- 



რეკომენდაცია

- ქის არქეოლოგიური შესწავლა დასასრულებელია, ამოსაწმენდია მინის შევსებისგან; უნდა მომზადდეს კონსერვაციის პროექტი, აღდგეს ქის გუმბათური გადახურვა და თალი; სისუფთავისა და უსაფრთოების დაცვის მიზნით ქას უნდა დაიხუროს ხის კარებით;
- 




სასახლე


- ციტადელის ჩრდ. ზღუდის სიახლოვეს მდებარე სასახლე შემორჩენილია გეგმის დონეზე. სავარაუდოდ ეს იყო ორსართულიანი შენობა, დასავ.-დან მიდგმული ჰქონდა აბანო, კონსერვაცია არ ჩატარდა;


რეკომენდაცია

- ❑ დასასრულებელია არქეოლოგიური გათხრები, მოსამზადებელია სარესტავრაციო პროექტი. კონსერვაცია უნდა მოხდეს კირით. უნდა მოიხსნას ნაგებობის ზედა დონის მორყეული რიგები, კედლებისა და პილონების სიმაღლე უნდა აიწიოს და გაუთანაბრდეს ყველაზე მაღალ დონეზე შემორჩენილ პილონის დონეს; არაუმეტეს 1 სიმაღლეზე საკონსერვაციო ფენით უნდა დაიფაროს მათი ზედაპირი. რადგან სასახლის სადაფი ნაწილობრივ მინაა ჩაჭრილი, აუცილებელია იგი მსუბუქი კოსტრუქციით გადაიხუროს, რათა ძეგლი გადარჩეს ნვიმის წყლისა და სხვა ბუნებრივი ნალექების დაგროვებისაგან.
- ❑ მოსამზადებელია სარესტავრაციო პროექტი. გადაუდებლად უნდა გამაგრდეს ბურჯის კედლები; შესამუშავებელია ალიზის კედლების გამაგრების მეთოდოლოგია. შესაბამისი მეთოდოლოგიის მიგნების შემთხვევაში, სასურველია მოპირკეთდეს ბურჯი გამომწვარი აგურით ან შეილესოს ჰიდრაუკული ხსანარით.
- ❑ მოსამზადებელია სასახლის კონსერვაციის პროექტი. საჭიროა სასახლის გეგმარების აღდგენა საარქივო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით. შენობის
- ❑ კედლები უნდა აღდგეს და გამაგრდეს არსებული სიმაღლით, მათ ზედაპირზე ერთი საკონსერვაციო ფენით; კედლების ნასვეტურები უნდა შეივსოს ხის ძელებით. კონსერვაცია უნდა მოხდეს გაჯნარევი კირხსნარის გამოყენებით.



აბანო

- გვიანანტიკური ტიპის აბანო, შემორჩენილი იყო 2 მ სიმაღლეზე, კონსერვაცია, მიუხედავად საკონსერვაციო პროექტის არსებობისა, არ ჩატარდა 1987 წელს.
- 





რეკომენდაცია

- მოსამზადებელია კონსერვაციის პროექტი. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით უნდა აღდგდეს აბანოს ნაკლული მონაკვეთები: საცეცხლურის თალი, აგურფენილი იატაკი, შემორჩენილი კედლები უნდა დავიცვათ არსებული სიმაღლით, მათ ზედაპირზე ერთი საკონსერვაციო ფენით; უნდა მოიხსნას აბანოს ავზების დაბზარული და დაფუყული ჰიდრაუიკული ხსნარის შელესილობა და თავიდან შეილესოს. უნდა გამოიცვალოს აბანოს აბაზანების დამტვრეული სპილენძის ონკანები.
- 1987 წელს შედგენილი აბანოს საკონსერვაციო პროექტის (ავტორი ზ. ქუფრაშვილი) საფუძველზე უნდა მომზადდეს ახალი პროექტი, საარქივო ფოტო - დოკუმენტაციის მიხედვით უნდა აღდგეს აბანოს კედლები და კალორიფერები, საცეცხლური განყოფილება. კონსერვაცია უნდა მოხდეს კირსა და ჰიდრაუიკული ხსნარის გამოყენებით.




აგურის ჭა

- გვიანანტიკური აბანოს თანადროული, კონსერვაცია არ ჩატარებულა.
- 





რეკომენდაცია

- მოსამზადებელია კონსერვაციის პროექტი, უნდა აღდგეს ჭის დამცავი ნაგებობის კედლები და ჭის აგურის ნაშენობის ზედა რიგები და დაედოს საკონსერვაციო ფენა, კონსერვაცია უნდა მოხდეს კირით. საჭიროა ჭის ფსკერამდე შესწავლა და ამოსუფთავება.
- 





სასახლე – IX – XI სს. და XII -XIII სს.

- ციტადელის ჩრდ-აღმ. ბურჯთან მდებარე სასახლე ორსართულიანი ნაგებობაა, შემორჩენილია ნანგრევების სახით. სასახლის ნანგრევების კონსერვაცია არ ჩატარდა.
- 





რეკომენდაცია







სასახლის აბანო

- მდებარეობს სასახლის აღმ.-ით, II და III ზღუდეებს შორის. შემორჩენილია ნანილობრივ; აბანო იყოფოდა ხუთ ნაწილად: მოსასვენებელი ოთახი, ცხელი, თბილი და ცივი წყლის სააბაზანო ოთახები და ოთახის გამაცხელებელი სისტემით, კონსერვაცია არ ჩატარდა.
- 




რეკომენდაცია






სასახლის თაღიანი ქა

- მონუობილია სასახლის დასავლეთ №7 ოთახის ჩრდ. კედელთან, კონსერვაცია არ ჩატარდა.




რეკომენდაცია

- ქის არქეოლოგიური შესწავლა დასასრულებელია, ამოსანმენდია მინის შევსებისგან; უნდა მომზადდეს კონსერვაციის პროექტი, აღდგეს ქის გუმბათური გადახურვა და თალი; სისუფთავისა და უსაფრთოების დაცვის მიზნით ქას უნდა დაიხუროს ხის კარებით;
- 





კოლექტორი

- მოქმედებდა IV-XIII სს, მდებარეობს ციხის ჩრდ. სექტორში, კონსერვაცია არ ჩატარდა.
- 





რეკომენდაცია


- მოსამზადებელია კონსერვაციის პროექტი, გასამაგრებელია კოლექტორის ქვიშა-ქვის კედლები, აღსადგენია გადახურვის ნაკლული ფილები, ნაგებობა ჰიდრაულური ხსნარით უნდა მოილესოს,.
- 



ქვიშა-ქვის ფილებით მოპირკეთებული არხი


- გასდევს ციხის ჩრდ, კედლებს, აშენდა ქართლის მეფე თრდატის მიერ, IV საუკუნეში; კონსერვაცია არ ჩატარდა.
- 


- 
- 
- მოსამზადებელია კონსერვაციის პროექტი, გასამაგრებელია კოლექტორის ქვიშა-ქვის კედლები, აღსადგენია გადახურვის ნაკლული ფილები, ნაგებობა ჰიდრაულური ხსნარით უნდა მოილესოს,.



რეკომენდაცია


- სულ ციხე-სიმაგრის ტერიტორიიდან გასატანია 12000 კუბი მინა.
- 

- 
- აუცილებელია საკონსერვაციო სამუშაოს დასრულება;
 - უპირველეს ყოვლისა საჭიროა ზღუდის კონსტრუქციული გამაგრების პროექტის მომზადება. ამისთვის საჭიროა კონსერვაციის პროექტი (კონსერვაცია კირხსნარით უნდა ჩატარდეს).
 - გალავანი უნდა გამაგრდეს, ჩამოშლილი მონაკვეთები ამოშენდეს, ზღუდის ზედაპირი დამცავი საკონსერვაციო ფენით დაიფაროს, კედლის არსებული სიმაღლე უნდა შევინარჩუნოთ;
 - უნდა ჩატარდეს არქეოლოგიური სამუშაოები.
 - საჭიროა ზღუდის მიმდებარე ტერიტორიის განმენდა მცენარეებისგან და მისი სისტემატიური მოვლა.




გარდა ზემოთ აღწერილი სამუშაოებისა განხორციელების შემდგომ:

- 1. სისტემატიურად უნდა გაგრძელდეს ციხე-სიმაგრის არქეოლოგიური შესწავლა, ყოველწლიურად უნდა მოხდეს გათხრილი მონაკვეთიდან მიწის გატანა.
- 2. სისტემატიურად უნდა მოხდეს ციხის ტერიტორიის დასუფთავება, ბალახის საფარის გაკრეჭვა.
- 3. ტურისტული გზა-ბოლიკების მოწყობა, საინფორმაციო დაფების განლაგება ძეგლების მოკლე ისტორიული აღწერილობით.



ციხე-ქალაქის მართვის გეგმის მიზანია:

- კომპლექსისა და ყველა მისი კომპონენტისა და ფასეულობების კონსერვაციის, დაცვის, მოვლისა და მდგრადი განვითარებისათვის საშუალებებისა და მიმართულებების უზრუნველყოფა.
- ვიზიტორებისა და ტურისტებისთვის ინფორმაციის მინოდებასა და საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა-განმვითარებას.



პირველ ეტაპზე


- ზემო აღნიშნულიდან ჩანს, თუ რაოდენ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. სირთულე კი ისაა, რომ მრავალფუნქციური სამუშაოებია ჩასატარებელი; უმნიშვნელოვანესი - პირველი ეტაპისთვის კი
- საჭიროა ციხე-სიმაგრის ტერიტორიიდან 12000 კუბი მინის გატანა.


ნაგავი

- პრობლემა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ვერ იქნა გადაჭრილი, იმაში მდგომარეობს, რომ ციხე-სიმაგრის ტერიტორია მუდმივად ბინძურდება ვიზიტორთა მიერ დაყრილი ნაგვისაგან, ბალახისა და ბუნებრივი ნაშალ-ნარღვევისგან, რისგანაც არ ხდება მისი ყოველდღიური განმენდა, რაც მძიმე სანიტარულ და გარემო დაბინძურების სიტუაციას ქმნის.
- აუცილებელია ნაგავთან დაკავშირებული პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა ქალაქ რუსთავის მერიისა შესაბამის სამსახურსა და ააიპ „რუსთავ სერვისის“ დასუფთავების სამსახურს შორის თანამშრომლობით.





კერძო სამოსახლოები

- კომპლექსის დაცვის ფარგლებში არსებული კერძო სამოსახლოები უკანონოდ იქნა აშენებული არქეოლოგიურ ფენებზე მე-20 საუკუნის შუა წლებში. ნოქალაქევის კომპლექსის მთლიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით, კერძო სამოსახლო საყოფაცხოვრებო საქმიანობით მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს.
- 




საველე სადგური



- ციტადელის მიმდებარე ტერიტორიაზე საველე სადგურის ფუნქციონირება აუცილებელია ყოველწლიურ არქეოლოგიურ გათხრებთან დაკავშირებით. ის მოიცავს საველე ლაბორატორიას გათხრების შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტების პირველადი იდენტიფიცირებისა და დამუშავებისთვის. შენობა შეიძლება ჩაითვალოს დროებით ნაგებობად. მომავალში შესამუშავებელია ახალი საველე სადგურის კონცეფცია.
- 



გათხრების შედეგად დარჩენილი თხრილები და მინაყრილები


- რუსთავის ციტადელის ტერიტორიაზე ნლების განმავლობაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დარჩენილია მრავალი, დიდი ზომის, ღია თხრილი და ტერიტორიაზე მიმოხეული მინაყრილები. ეს ვიზუალურად აკნინებს ძეგლის იერსახეს.

- 
- კერძო საკუთრებასთან დაკავშირებით სამართლებრივი ქმედების განხორციელება და მისთვის შეუსაბამო ნაგებობის სტატუსის მინიჭება;
 - ციხე-სიმაგრის ჩრდ.-აღმ. ციხის დაცვის ზონაში მდებარე ნაგებობებისთვის სტატუსის მინიჭება ან შენობის დემონტაჟი;
 - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მომზადება (ძეგლის სამეცნიერო კვლევისა ხელშეწყობის შესახებ);
 - საერთო სარგებლობის ტერიტორიების განსაზღვრა (სერვიტუტის) და შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება (საკადასტრო გამიჯვნა და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია);
 - ქალაქ რუსთავის მერის ან მუზეუმის დირექტორის ბრძანებით ციხე-სიმაგრისა და კულტურის პარკის ტერიტორიაზე ქცევის წესების დადგენა.





უზრუნველყოფა

- ერთიანობის ურღვეობა
- ავთენტურობის შენარჩუნება
 - კონსერვაცია
 - დაცულობა
- მოვლა-პატრონობა



სულ ციხე-სიმაგრის ტერიტორიიდან გასატანია
12000 კუბი მინა.





ჩარევის შემთხვევაში დაცული უნდა იყოს:

- ❑ შეძლებისდაგვარად მინიმალური
- ❑ შეძლებისდაგვარად ადვილად უკუქცევადი
- ❑ გამოყენებული უნდა იყოს ეკოლოგიურად უსაფრთხო და ორიგინალთან თავსებადი ნივთიერებები
- ❑ ჩარევა არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს ძეგლის რომელიმე კულტურულ ღირებულებას
- ❑ ყველა ჩარევა უნდა იყოს მკაცრად და დეტალურად დოკუმენტირებული

მართვის სტრუქტურა

□ კულტურული მემკვიდრეობის საიტებზე ტურიზმი სახელმწიფოს აძლევს ეკონომიკის გაძლიერებისა და სამუშო ადგილების შექმნის შესაძლებლობას.

- მმართველი - მენეჯერი
- მონიტორინგის სპეციალისტი
 - საიტ-მენეჯერი
- საგანმანათლებლო პროგრამის მენეჯერი
 - ექსკურსია-მძღოლი
- ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი
 - დამლაგებელი
 - მეზაღე
 - ციხესიმაგრის დაცვა



მადლობა ყურადღებისთვის